



ვებ გვერდი

01/09/2015

სარეგისტრაციო კოდი

190020020.35.152.016230

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N23

2015 წლის 25 აგვისტო

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მეორე პუნქტების, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის N41 დადგენილებაში (სსმ. 26/12/2014. ს/კ190020020.35.152.016205) შეტანილ იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი I

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2013 წლის	2014 წლის ფაქტი		2015 წლის გეგმა	
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

	ფაქტი		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11 623,9	12 769,7	6 470,5	6 299,2	10 683,6	4 660,6	6 023,0
გადასახადები	1 943,8	2 248,0	0,0	2 248,0	1 750,0	0,0	1 750,0
გრანტები	9 160,0	9 791,9	6 470,5	3 321,4	8 510,0	4 660,6	3 849,4
სხვა შემოსავლები	520,1	729,8	0,0	729,8	423,6	0,0	423,6
ხარჯები	4 222,4	5 552,0	225,6	5 326,4	6 375,4	56,0	6 319,4
შრომის ანაზღაურება	1 230,7	1 217,2	0,0	1 217,2	1 477,3	0,0	1 477,3
საქონელი და მომსახურება	1 037,8	1 266,1	0,0	1 266,1	1 244,6	0,0	1 244,6
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	204,8	180,5	0,0	180,5	155,7	0,0	155,7
სუბსიდიები	1 251,5	2 042,4	0,0	2 042,4	2 676,1	0,0	2 676,1
გრანტები	0,0	2,3	0,0	2,3	181,4	0,0	181,4
სოციალური უზრუნველყოფა	315,6	348,5	0,0	348,5	626,8	56,0	570,8
სხვა ხარჯები	182,0	495,0	225,6	269,4	13,5	0,0	13,5
საოპერაციო საღდო	7 401,5	7 217,7	6 244,9	972,8	4 308,2	4 604,6	-296,4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6 095,1	4 314,9	3 892,6	422,3	9 047,7	8 258,3	789,4
ზრდა	6 351,0	4 464,1	3 892,6	571,5	9 152,7	8 258,3	894,4
კლება	255,9	149,2	0,0	149,2	105,0	0,0	105,0
მთლიანი საღდო	1 306,4	2 902,8	2 352,3	550,5	-4 739,5	-3 653,7	-1 085,8
ფინანსური აქტივების ცვლილება	1 111,2	2 677,9	2 352,3	325,6	-4 989,6	-3 654,3	-1 335,3
ზრდა	1 111,2	2 677,9	2 352,3	325,6	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 111,2	2 677,9	2 352,3	325,6	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	0,0	0,0	0,0	4 989,6	3 654,3	1 335,3
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0	0,0	4 989,6	3 654,3	1 335,3
ვალდებულებების ცვლილება	-195,2	-224,9	0,0	-224,9	-250,1	-0,6	-249,5
კლება	195,2	224,9	0,0	224,9	250,1	0,6	249,5
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,2	0,0	0,2
საშინაო	195,2	224,9	0,0	224,9	249,9	0,6	249,3
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

ათასი ლარი

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	11 879,8	12 918,9	6 470,5	6 448,4	10 788,6	4 660,6	6 128,0
შემოსავლები	11 623,9	12 769,7	6 470,5	6 299,2	10 683,6	4 660,6	6 023,0
არაფინანსური აქტივების კლება	255,9	149,2	0,0	149,2	105,0	0,0	105,0
გადასახდელები	10 768,6	10 241,0	4 118,2	6 122,8	15 778,2	8 314,9	7 463,3
ხარჯები	4 222,4	5 552,0	225,6	5 326,4	6 375,4	56,0	6 319,4
არაფინანსური აქტივების ზრდა	6 351,0	4 464,1	3 892,6	571,5	9 152,7	8 258,3	894,4
ვალდებულებების კლება	195,2	224,9	0,0	224,9	250,1	0,6	249,5
ნაშთის ცვლილება	1 111,2	2 677,9	2 352,3	325,6	-4 989,6	-3 654,3	-1 335,3

მუხლი 3. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 10 683,6 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11 623,9	12 769,7	6 470,5	6 299,2	10 683,6	4 660,6	6 023,0
გადასახადები	1 943,8	2 248,0	0,0	2 248,0	1 750,0	0,0	1 750,0
გრანტები	9 160,0	9 791,9	6 470,5	3 321,4	8 510,0	4 660,6	3 849,4
სხვა შემოსავლები	520,1	729,8	0,0	729,8	423,6	0,0	423,6

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1 750,0 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2013 წლის	2014 წლის ფაქტი		2015 წლის გეგმა	
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

	ფაქტი		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1,943.8	2,248.0	0.0	2,248.0	1,750.0	0.0	1,750.0
ქონების გადასახადი	1,943.8	2,248.0	0.0	2,248.0	1,750.0	0.0	1,750.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	906.0	1,127.1	0.0	1,127.1	765.0	0.0	765.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	27.5	39.4	0.0	39.4	15.0	0.0	15.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	50.8	55.6	0.0	55.6	40.0	0.0	40.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	959.5	1,025.9	0.0	1,025.9	930.0	0.0	930.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა გადასახადები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 8 510,0 ათასი ლარის ოდენობით

ათასი ლარი

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა
გრანტები	9,160.0	9,791.9	8,510.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	0.0	94.4
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9,160.0	9,791.9	8,415.6
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	2,191.1	3,321.4	3,755.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	2,094.3	3,220.2	3,645.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	96.8	101.2	110.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	6,968.9	6,470.5	4,660.6
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	5,763.5	2,859.7	2,565.6
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1205.4	1507.3	1,514.2
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0.0	0.0	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0.0	0.0	0.0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	0.0	2103.5	580.8

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 423,6 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	520,1	729,8	423,6
შემოსავლები საკუთრებიდან	194,2	332,8	219,7
პროცენტები	0,0	46,5	73,7
რენტა	194,2	286,3	146,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	180,9	269,4	140,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	13,3	16,9	6,0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0,0	0,0	0,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	95,9	116,7	128,4
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	77,2	98,8	116,4
სანებართვო მოსაკრებელი	15,5	35,1	5,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადაგადების მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	61,7	63,7	111,4
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	18,7	17,9	12,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	18,7	17,9	12,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	90,4	200,7	75,5
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	139,6	79,6	0,0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6 375,4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	4 222,4	5 552,0	225,6	5 326,4	6 375,4	56,0	6 319,4
შრომის ანაზღაურება	1 230,7	1 217,2	0,0	1 217,2	1 477,3	0,0	1 477,3
საქონელი და მომსახურება	1 037,8	1 266,1	0,0	1 266,1	1 244,6	0,0	1 244,6
პროცენტი	204,8	180,5	0,0	180,5	155,7	0,0	155,7
სუბსიდიები	1 251,5	2 042,4	0,0	2 042,4	2 676,1	0,0	2 676,1
გრანტები	0,0	2,3	0,0	2,3	181,4	0,0	181,4
სოციალური უზრუნველყოფა	315,6	348,5	0,0	348,5	626,8	56,0	570,8
სხვა ხარჯები	182,0	495,0	225,6	269,4	13,5	0,0	13,5

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 9 047,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6,095.1	4,314.9	3,892.6	422.3	9,047.7	8,258.3	789.4
ზრდა	6,351.0	4,464.1	3,892.6	571.5	9,152.7	8,258.3	894.4
კლება	255.9	149.2	0.0	149.2	105.0	0.0	105.0

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 9 152,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	12.9	50.9	684.2
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1.0	0.0	0.8
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	6,322.0	4,330.0	7,908.0
განათლება	15.1	69.6	555.9
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	0.0	0.1	3.8
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	13.5	0.0
სულ ჯამი	6,351.0	4,464.1	9,152.7

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 105.0 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	255.9	149.2	105.0
ძირითადი აქტივები	21.4	19.9	0.0
მატერიალური მარაგები	0.0	7.8	0.0

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა
არაწარმოებული აქტივები	234.5	121.5	105.0
მიწა	234.5	121.5	105.0
სხვა ბუნებრივი აქტივები	0.0	0.0	0.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 913,2	2 284,0	0,0	2 284,0	3 011,6	650,5	2 361,1
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 697,4	1 997,0	0,0	1 997,0	2 847,4	650,5	2 196,9
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 697,4	1 997,0	0,0	1 997,0	2 825,0	650,5	2 174,5
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	22,4	0,0	22,4
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	215,8	287,0	0,0	287,0	164,2	0,0	164,2
702	თავდაცვა	53,0	45,7	0,0	45,7	50,3	0,0	50,3
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	131,2	173,8	0,0	173,8	174,4	0,0	174,4
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	131,2	173,8	0,0	173,8	174,4	0,0	174,4
704	ეკონომიკური საქმიანობა	5 841,4	4 480,2	3 583,6	896,6	7 458,9	6 298,7	1 160,2
7045	ტრანსპორტი	1 795,7	1 093,9	837,3	256,6	3 104,7	2 649,6	455,1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 673,4	974,9	837,3	137,6	2 946,6	2 649,6	297,0
70454	საკაბო ტრანსპორტი	122,3	119,0	0,0	119,0	155,0	0,0	155,0
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0,0	0,0	0,0	0,0	3,1	0,0	3,1

7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	4 045,7	3 386,3	2 746,3	640,0	4 354,2	3 649,1	705,1
705	გარემოს დაცვა	148,7	3,1	0,0	3,1	18,4	0,0	18,4
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	147,8	2,5	0,0	2,5	0,0	0,0	0,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0,9	0,6	0,0	0,6	18,4	0,0	18,4
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	901,1	735,5	486,7	248,8	451,3	49,0	402,3
7061	ბინათმშენებლობა	1,4	76,2	0,0	76,2	0,0	0,0	0,0
7063	წყალმომარაგება	564,9	536,6	475,5	61,1	316,7	49,0	267,7
7064	გარე განათება	276,6	100,2	11,2	89,0	134,6	0,0	134,6
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	58,2	22,5	0,0	22,5	0,0	0,0	0,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	32,8	60,3	0,0	60,3	44,5	0,0	44,5
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	32,8	60,3	0,0	60,3	44,5	0,0	44,5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	557,1	842,8	28,7	814,1	1 813,4	773,0	1 040,4
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	179,6	390,7	28,7	362,0	1 292,3	773,0	519,3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	368,2	433,4	0,0	433,4	492,8	0,0	492,8
7083	ტელერადიომუშყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	1,7	2,6	0,0	2,6	3,3	0,0	3,3
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	7,6	16,1	0,0	16,1	25,0	0,0	25,0
709	განათლება	632,0	932,5	19,2	913,3	1 714,0	487,1	1 226,9
7091	სკოლამდელი აღზრდა	559,1	825,8	19,2	806,6	1 602,4	487,1	1 115,3
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	72,5	99,8	0,0	99,8	111,6	0,0	111,6
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0,4	6,9	0,0	6,9	0,0	0,0	0,0
710	სოციალური დაცვა	364,6	459,8	0,0	459,8	791,3	56,0	735,3
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	75,6	78,6	0,0	78,6	93,6	0,0	93,6
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	263,3	295,0	0,0	295,0	545,6	56,0	489,6
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	0,0	8,6	0,0	8,6	13,7	0,0	13,7
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	25,7	77,6	0,0	77,6	138,4	0,0	138,4
	სულ	10 575,1	10 017,7	4 118,2	5 899,5	15 528,1	8 314,3	7 213,8

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-4,739.5) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (- 4 989,6) ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,111.2	2,677.9	2,352.3	325.6	-4,989.6	-3,654.3	-1,335.3
ზრდა	1,111.2	2,677.9	2,352.3	325.6	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,111.2	2,677.9	2,352.3	325.6	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	4,989.6	3,654.3	1,335.3
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	4,989.6	3,654.3	1,335.3

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-250.1) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 22.4 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 110,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 42,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 50,3 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 4,0 ათასი ლარი.

დ) იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ “ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 13,7 ათასი ლარი

2., საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი-ს“ 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში მოსახლეობის დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სახანძრო-სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად; აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა; პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული ღონის ამაღლება.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ. დუშეთში ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

ხანძრისა და სტიქიური უბედურების შემთხვევების დროს მოსახლეობისა და მათი ქონების დასაცავად ადგილზე დროული მისვლა და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა; საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ. დუშეთში ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

დუშეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, კეთილმოწყობის სამუშაოები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში

დაფინანსდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. ასევე მნიშვნელოვანია საჰაერო ტრანსპორტი მაღალმთიანი სოფლებისათვის, სადაც დიდ თოვლობის დროს ავტოტრანსპორტით მისვლა შეუძლებელია. საჰაერო ტრანსპორტი ამ დროს იძენს სასიცოცხლო მნიშვნელობას მაღალმთიანი სოფლებისთვის.

2.1.1 გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს დაგეგმილია: მთავარელიანთ დასახლებაში შიდა გზების შეკეთება, სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია, სისწრაფის შემზღუდველების მოწყობა, სოფ. ხეობაში მისასვლელი გზის შეკეთება, კარიაულების დასახლებაში შიდა გზების შეკეთება, კობიანთკარის დასახლებაში ე.წ. "თამარ მეფის" წყაროს უკან და ე.წ. "ბაღის წყლის" მიმდებარე ტერიტორიასთან ასასვლელი დაზიანებული გზების შეკეთება, ქ.დუშეთში, სააკაძის და მწითურის ქუჩების დამცავი ბეტონის ბორდიურის მოწყობა, ქალაქ დუშეთის ქუჩების მოასფალტება, სოფ. ახატანი-ბიწმენდის საავტომობილო გზის მოასფალტება, ომპიტელი-გუდამაყრის საავტომობილო გზაზე ხიდის მოწყობა, ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში - ბანცურ-ცხვედიეთის საცალფეხო დაკიდული ხიდის რეაბილიტაცია, ჭონქაძის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფ. მეზვიანთკარის ხიდის შეკეთება, ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფ. დოლასქედის საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია, ჭოპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ზემო ბულაჩაურში ე.წ. „ხიმშიანთ უბანში“ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, შატილის ადმინისტრაციულ ერთეულში, არდოტიდან -ხახაბო ორწყლამდე, კისტანიდან-გიორგიწმინდამდე და შატილი-ხონისჭალის დაზიანებული გზის მონაკვეთების რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება 2014 წელს დაწყებული პროექტები: სოფ. ჭოპორტში მთ. საავტომობილო გზის დარჩენილი მონაკვეთების მოასფალტება, სოფ. ბაგაში მისასვლელი მთ. გზის მოასფალტება, იოსელიანის ქუჩის მეორე. შეს. მოასფალტება და ანაკრები სანიაღვრე არხის მოწყობა, რაზიკაშვილის ქუჩის და მოედნის (ბაზრის უკან) მოასფალტება, სოფ. ჩარგალში ტამართან, სასაფლაოს გზაზე ხიდის მოწყობა, შატილის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. არდოტში „ანდაქში და არჭილოში დაზიანებული საცალფეხო ხიდების აღსადგენად საჭირო მასალების შესყიდვა.

2.1.2 საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მეწყერების, დიდთოვლობის შედეგად ჩაკეტილი გზების და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში, შატილსა და არხოტში საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, დასუფთავების ღონისძიებები, მაწანწალა ძაღლების სალიკვიდაციო ღონისძიებები და მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაციისათვის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება.

2.2.1 გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება დახარჯული ელ. ენერჯის ხარჯი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: სოფ. მჭადიჯვარში, სოფ. ჩინთში, სოფ. ახალი ტონჩაში და სოფ. ჭართალში გარეგანათების მოწყობა.

2.2.2 საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ქ. დუშეთში, საზოგადოებრივი ტუალეტის მოწყობა.

2.2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: სოფ. ახატნის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, სოფ. დავათში წყაროს რეაბილიტაცია, სოფ. ბულაჩაურში ე.წ. "კორპუსების დასახლების" წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია, სოფ. ოძისისა და ბაქაქურების წყლის რეაბილიტაციის პროექტი, სოფ. ანანურის ახალი დასახლების წყალმომარაგების შიდა ქსელის მოწყობა, სოფ. ქვეშეთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება 2014 წელს დაწყებული პროექტები: ანანურის წყლის რეაბილიტაცია (ავენისი - ანანური), სოფ. ლუთხუბში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ.ციხისძირის წყალმომარაგების ახალი ქსელის მოწყობის სამუშაოები.

2.2.4 სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: სოფ. მჭადიჯვარში სანიაღვრე არხზე (ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია) ცხაურის მოწყობა, ქ.დუშეთში ჭონქამის ქუჩის №18-ის მიმდებარედ ქუჩების გასწვრივ სამაგრი კედლის მოწყობა, სოფ. ანანურში, ახალ დასახლებაში სანიაღვრე არხზე განივი ბოგირის მოწყობა, ქ.დუშეთში: ე.წ. "ორწყაროსთან" სანიაღვრე არხის გადახურვის სამუშაოები, ყოფილი კარაქმრეწვის ჩასახვევში სანიაღვრე არხის მოწყობა, ობსერვატორიის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა.

2.2.5 გაზგაცვანილობის სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: დაბა ფასანაურში და სოფ. ქვეშეთში ადმინისტრაციული შენობების გაზმომარაგება.

2.3 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 03)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2015 წელს გამოყოფილი, წინა წელს მიღებული დარჩენილი თანხით და ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საჭიროების შემთხვევაში სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილების საფუძველზე სხვადასხვა პროექტები.

2.4 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

დღევანდელ დროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ახალგაზრდებში, რისთვისაც მნიშვნელოვანია სპორტული ობიექტების მშენებლობა, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას, რისთვისაც საჭიროა ქალაქის გამწვანება, ბაღების და სკვერების მშენებლობა და მოვლა-პატრონობა.

2.4.1 ბაღების, სკვერების, სავაჭრო პავილიონების მოწყობა და კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ქ. დუშეთში ყოფ. სამუსიკო სკოლის სარემონტო სამუშაოები, ქ.დუშეთში, სპორტული კომპლექსის მიმდებარედ სკვერის მოწყობა.

2.4.2 ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 04 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

- ქალაქის, დაბების, რიგი სოფლების დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარში;
- გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, ქალაქის იერსახის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;
- ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნისათვის ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება, ნარგავების მოვლა-პატრონობა, გამწვანების ზონაში ყვავილების და სხვა დეკორატიული მცენარეების დარგვა;
- ქ. დუშეთის სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

2.5 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: 2014 -2015 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, სანიაღვრე არხების (მათ შორის, წყალგამტარი მილები), ბოგირების, გაბიონების, ბეტონის საყრდენი კედლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების, საცხოვრებელი სახლების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენითი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.

2.6. სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ექსპერტიზის და ქალქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 06)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს, მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების გათვალისწინებით, შესაბამისი საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. აუცილებელია სამშენებლო- სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შესრულებული სამუშაოების

საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მათ შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N39 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 12 ფილიალის რეაბილიტაციის, მჭადიჯვარი-ზემო შუახევის გზის მოასფალტების (სკოლამდე), ზანდუკის ხიდის (გუდამაყარი) რეაბილიტაციის, ოშპიტელი-გუდამაყრის საავტომობილო გზის მოასფალტება და ახალი ხიდის მოწყობის, ქალაქ დუშეთის ქუჩების მოასფალტების, სოფ. ახატანი-ბიწმენდის საავტომობილო გზის მოასფალტების, წითლიან-ბიბილიანების წყალმომარაგების, ქ. დუშეთში სპორტული სკოლის შენობის რეაბილიტაციის, დუშეთის კულტურის სახლის რეაბილიტაციის, ქ. დუშეთის ბაზრის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. გარდა ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება პანსიონების დაფინანსება მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით.

3.1 სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 650-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის კვების ღირებულება შეადგენს 1,80 ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება 2014 წელს დაფინანსებული პროექტები: სოფ. ქვეშეთში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რომელიც ხორციელდება დუშეთის მუნიციპალიტეტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს მისიის პროგრამის „ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში. სოფ. ბაზალეთის, სოფ. ჭოპორტის და სოფ. ბულაჩაურის საბავშვო ბაღების წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

2015 წელს დაგეგმილია სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 12 ფილიალის რეაბილიტაცია, სოფ. ბულაჩაურში, სოფ. ქვეშეთში და სოფ. ოძისში საბავშვო ბაღების გახსნა.

3.2. მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტი აფინანსებს მაღაროსკარის, ბარისახოს და შატილის პანსიონებს. პანსიონებში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 47-ს. კვების ხარჯი ერთ ბავშვზე შეადგენს 2,40 ლარს, რაც მთლიანად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. კვების ხარჯების გარდა, მუნიციპალიტეტი აფინანსებს პანსიონების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე აფინანსებს ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2015 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. ტარდება მუნიციპალური, რეგიონული, საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში, უმცროს ასაკში, ჭაბუკებსა და ახალგაზრდობაში, ასევე რეგიონული და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში, ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, კრივში; დუშეთის სპორტულ სკოლას წარმატებული აქვს ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში, ფეხბურთში, ფრენბურთში, კრივში, ნიჩბოსნობაში. აღსაზრდელები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირში, სადაც კარგი მიღწევებით გამოირჩევიან.

4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიების, ტურნირის, შეჯიბრების ორგანიზება, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და დაფინანსება.

4.1.2 სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ და მისი ფილიალის სასპორტო სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის 10 სახეობა (ფეხბურთი, ჭიდაობა, კალათბურთი, ჭადრაკი, ფრენბურთი, ნიჩბოსნობა, კრივი, კარატე, ტანვარჯიში, ძალოსნობა), სადაც მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 400-ს.

4.1.3 საფეხბურთო კლუბ „არაგვის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საფეხბურთო კლუბ „არაგვის“ დაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს: საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის საწევრო გადასახადს, ფეხბურთელთა ტრანსპორტით მომსახურებას, შეკრების ხარჯებს, სხვადასხვა ინვენტარის, უნიფორმის შექმნას და ჩასატარებელი თამაშების მოგების შემთხვევაში გუნდის წევრების ფულადი ფორმით წახალისებას.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება ყოველთვის გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და ღონისძიებების სიმრავლით, რაც ხელს უწყობს, როგორც ქართველი ხელოვანების შემოქმედებითი იდეების რეალიზებას, ასევე მუნიციპალიტეტის, კულტურული სტატუსის დამკვიდრებას.

პროგრამა გულისხმობს ჩვენი ქვეყნის ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენას, მათ ხელშეწყობას და მათი პროექტების მეშვეობით მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ღვაწლმოსილი ხელოვანების სათანადოდ დაფასებასა და მათი შემოქმედებითი სადამოების ორგანიზებას, მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა და დაფინანსება. მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება.

4.2.2 სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

სახელოვნებო განათლება ქვეყნის კულტურისა და განათლების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, როგორც ქართული კულტურის სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და ხელოვნების განვითარების, ისე ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფის საკითხში.

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს სახელოვნებო სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. სახელოვნებო სკოლაში ფუნქციონირებს ხატვის, მერწვის, თეატრის მუშაობის, ლიტერატურის, საეკლესიო საგალობლების წრეები, სადაც სწავლობს 110 მოსწავლე.

4.2.3 ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ახალგაზრდა თაობის ინტელექტუალური, ზნეობრივი და კულტურული განვითარების მიზნით, ისევე როგორც გასულ წლებში, 2015 წელს გაგრძელდება ადგილობრივი ბიბლიოთეკების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქ.დუშეთის ალ. როინაშვილის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა, ანანურის, ფასანაურის და ჭოპორტის სასოფლო ბიბლიოთეკები. აღნიშნული ბიბლიოთეკები ხელს უწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალურ განვითარებას და მოსახლეობის საჭირო ლიტერატურით მომარაგებას.

4.2.4 მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება დანიელ ჭონქაძის სახელობის და დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმები, რაც ხელს უწყობს ტრადიციული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ტურისტების გათვითცნობიერებას ადგილობრივ კულტურასთან.

4.2.5 კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხარჯების დაფინანსებას, რომლის ფუნქციაშიც შედის, კულტურის სახლების, მუსიკალური კოლექტივების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლის კოორდინირება.

4.2.6 კულტურის სახლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქ.დუშეთის და დაბა ჟინვალის კულტურის სახლები. აღნიშნული კულტურის სახლები ემსახურება პოეზიის სადამოების, ფოლკლორული და

თეატრალური ღონისძიებების ჩატარებას. ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურის სახლთან არსებული ქართული ხალხური საკრავების და სიმღერის ანსამბლი „ქალილო“.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: 2015 წლის 17-21 ივნისს, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ქ. ზონგულდაკში, საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად მიწვეული ანსამბლ „ქალილოს“ მგზავრობის, საფესტივალო და ცხოვრების ხარჯების დაფინანსება.

4.2.7 ტელემარშრუტების და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გაზეთ „დუშეთის მაცნეს“ გამოცემასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ინფორმირებას საკრებულოსა და გამგეობის მუშაობის შესახებ, მუნიციპალიტეტის სიახლეების გაშუქებას და პრობლემების წარმოჩენას.

4.2.8 მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ქ. დუშეთის, დაბა ჟინვალის და დაბა ფასანაურის სამუსიკო სკოლებს, სადაც სწავლობს 161 მოსწავლე, რომლებიც წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა მუსიკალურ კონკურსსა და მუსიკალურ ფესტივალში. სამუსიკო სკოლების დაფინანსება ხდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ისე მშობელთა შემონატანით. თოთოეულ ბავშვზე სწავლის გადასახდი თვეში შეადგენს 20 ლარს.

4.2.9 საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ დაგეგმილია გახსნას საკუთარი წარმომადგენლობა (სალოტბარო სკოლა) დუშეთში, რომლის ამოცანაც იქნება უძველესი ადგილობრივი ფოლკლორის გაცოცხლება და შენარჩუნება.

4.3 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიება, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

4.4 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკლესია-მონასტრების ფინანსურ მხარდაჭერას.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი (06 00))

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით და შეღავათით უზრუნველყოფას. გრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები;
- იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა;
- იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა;
- პარაზიტული დაავადებების ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა;
- საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობა და ხელშეწყობა.

5.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 სამკურნალო დაწესებულებებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევათ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე, გადახდისუუნარო მოქალაქეებს, რომლებსაც შეიძლება დაუფინანსდეს შემდეგი სამედიცინო მომსახურების სახეები:

- ა) წინასწარი ამბულატორიული გამოკვლევები;
- ბ) სტაციონარული მკურნალობა;

გ) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დუშეთის მუნიციპალიტეტიდან სხვა, ნებისმიერ სავადმყოფოში გადაყვანის ხარჯები.

სამედიცინო მომსახურების ღირებულება ფინანსდება:

- 500 ლარის ჩათვლით – 100% -მდე;
- 501 ლარიდან 1000 ლარის ჩათვლით – 70% - მდე;
- 1001 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით – 55% - მდე;
- 3001 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით - 35% -მდე;
- 5001 ლარიდან ზევით 25% -მდე.

საყოველთაო დაზღვევით მოსარგებლე 5 წლამდე ასაკის ბავშვებს და 80 წელს გადაცილებულ მოხუცებს თანადაფინანსების თანხა აუნაზღაურდებათ 100%-ით.

სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის შემთხვევაში გამოკვლევის, გადაუდებელი ოპერაციული და თერაპიული მკურნალობის 100%-ით დაფინანსება (არაუმეტეს 3,000.00 ლარისა), ხორციელდება დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე.

5.2.2 მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის და სტუდენტების მგზავრობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: სოფ. ჩოხიდან-დაბა ფასანაურამდე კვირაში 2-ჯერ და სოფ.ხორხიდან - ქ.დუშეთამდე კვირაში ერთხელ მოსახლეობის უფასოდ მგზავრობის ხელშეწყობას და დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სტუდენტების მგზავრობის ხელშეწყობას.

5.2.3 სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

ერთჯერადი დახმარების სახით 50 ლარიდან 200 ლარამდე ფინანსური დახმარება გაეწევათ:

ა) გაჭირვებულ მოქალაქეებს, (ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობით), გარდა იმ მოქალაქეებისა, რომლებსაც მინიჭებული აქვს 57 000- მდე სარეიტინგო ქულა;

ბ) ჯანმრთელობის განსაკუთრებული პრობლემების მქონე მოქალაქეებს, კერძოდ: დიაბეტით, ეპილევსიით, პარკინსონიზმით დაავადებულებს, ონკოლოგიურ ავადმყოფებს, I და II ჯგუფის ინვალიდებს, უსინათლოებს;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გადაადგილება;

დ) უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვისათვის - პირებს, რომელთაც ითავეს მიცვალებულის დაკრძალვა;

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უხუცესებს, რომელთაც შეუსრულდათ ასი და მეტი წელი;

ვ) ოჯახებს, პირველი და მეორე ბავშვის შეძენისას;

ზ) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით.

თ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის (ავხაზეთი, სამაჩაბლო) ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს;

ი) 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალშვილიან (4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი) ოჯახებს ფინანსური დახმარება გაეწევათ 300 ლარის ოდენობით;

ჰემოდიალიზს დაქვემდებარებულ პირებს, ერთჯერადად 300 ლარის ოდენობით;

განსაკუთრებულ შემთხვევებში კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზღვრულ ოდენობაზე მეტი თანხის გაცემა (არაუმეტეს 2000 ლარამდე) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე.

5.2.4 საავადმყოფო ფურცელზე მყოფი მუშაკების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საავადმყოფო ფურცელზე მყოფი მუშაკების დაფინანსება.

5.2.5 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ავადმყოფებისა და სოციალურად გაჭირვებული მოქალაქეების მედიკამენტებით უზრუნველყოფას, მედიკამენტების ღირებულება 150 ლარის ფარგლებში დაუფინანსდებათ:

- ა) ეპილეფსიით დაავადებულებს;
- ბ) პარკინსონით დაავადებულებს;
- გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ 0-100 000- მდე სარეიტინგო ქულა.

5.2.6 „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. უფასო სასადილოთი მომსახურება ითვალისწინებს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე 110 ბენეფიციარის დღეში ერთჯერად უფასო კვებას, გარდა კვირა დღისა. ერთი ბენეფიციარის კვება/დღის ხარჯი დღეში შეადგენს 1,70 ლარს.

5.2.7 სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრით, სტიქიური მოვლენებით (მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა, დიდთოვლობა და ა.შ) უსახლკაროდ დარჩენილი და სხვა მძიმე გარემოებათა გამო დაზარალებული ოჯახებს ერთჯერადად 1000 ლარამდე თანხის ოდენობით.

განსაკუთრებულ შემთხვევებში კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დახმარების სახით გაიცეს ზღვრულ ოდენობაზე მეტი ფულადი თანხა. (არაუმეტეს 3000 ლარი).

ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 2012 წელს სტიქიური მოვლენების შედეგად სოფ. ზემო მღეთაში დაზარალებული 8 ოჯახისათვის კომპენსაციები.

5.2.8 ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეორე მსოფლიო ომსა და საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლებში გარდაცვლილ მეომართა ოჯახებზე სარიტუალო ხარჯებს 250 ლარის ოდენობით.

5.2.9 დევნილთა სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით.

5.2.10 პროექტის „დღის სოციალური ცენტრი-დუშეთში“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების და დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთობლივი პროექტის „დღის სოციალური ცენტრი-დუშეთში“ ხელშეწყობა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალურად იზოლირებულ და დაუცველი ოჯახების უმწეობის შემცირებას მათი სოციალური მხარდაჭერით, თემის მობილიზებითა და ადგილობრივი რესურსების გამოყენებით. ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდება სასწავლო სემინარები, ტრენინგები და სხვადასხვა სოციალური ღონისძიება.

თავი III

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი				2015 წლის გეგმა		
		2013 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	დუშეთის მუნიციპალიტეტი	10 768,6	10 241,0	4 118,2	6 122,8	15 778,2	8 314,9	7 463,3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	135,0	117,0	0,0	117,0	162,0	0,0	162,0
	ხარჯები	4 222,4	5 552,0	225,6	5 326,4	6 375,4	56,0	6 319,4
	შრომის ანაზღაურება	1 230,7	1 217,2	0,0	1 217,2	1 477,3	0,0	1 477,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6 351,0	4 464,1	3 892,6	571,5	9 152,7	8 258,3	894,4
	ვალდებულებების კლება	195,2	224,9	0,0	224,9	250,1	0,6	249,5
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2 105,0	2 507,3	0,0	2 507,3	3 260,5	650,5	2 610,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	103,0	111,0	0,0	111,0	159,0	0,0	159,0
	ხარჯები	1 898,6	2 231,5	0,0	2 231,5	2 327,4	0,0	2 327,4
	შრომის ანაზღაურება	1 078,2	1 156,7	0,0	1 156,7	1 448,0	0,0	1 448,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12,9	50,9	0,0	50,9	684,2	650,5	33,7
	ვალდებულებების კლება	193,5	224,9	0,0	224,9	248,9	0,0	248,9
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	411,5	473,3	0,0	473,3	619,2	0,0	619,2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	14,0	25,0		25,0	28,0		28,0
	ხარჯები	411,5	461,8	0,0	461,8	616,0	0,0	616,0
	შრომის ანაზღაურება	222,4	303,5	0,0	303,5	405,8	0,0	405,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	11,5	0,0	11,5	3,2	0,0	3,2
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1 285,9	1 530,9	0,0	1 530,9	2 213,8	650,5	1 563,3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	89,0	86,0		86,0	131,0		131,0
	ხარჯები	1 273,0	1 484,3	0,0	1 484,3	1 524,8	0,0	1 524,8
	შრომის ანაზღაურება	855,8	853,2	0,0	853,2	1 042,2	0,0	1 042,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12,9	39,4	0,0	39,4	681,0	650,5	30,5
	ვალდებულებების კლება	0,0	7,2	0,0	7,2	8,0	0,0	8,0
01 03	სარეზერვო ფონდი	0,0	0,0	0,0	0,0	22,4	0,0	22,4
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	22,4	0,0	22,4
04 01	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	407,6	503,1	0,0	503,1	405,1	0,0	405,1
	ხარჯები	214,1	285,4	0,0	285,4	164,2	0,0	164,2
	ვალდებულებების კლება	193,5	217,7	0,0	217,7	240,9	0,0	240,9
04 01 01	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა	1,7	1,6	0,0	1,6	0,0	0,0	0,0
	ვალდებულებების კლება	1,7	1,6	0,0	1,6	0,0	0,0	0,0
04 01 02	მ.გ.ფ და სხვა ვალდებულებების დაფარვა	396,6	396,6	0,0	396,6	396,6	0,0	396,6
	ხარჯები	204,8	180,5	0,0	180,5	155,7	0,0	155,7

	ვალდებულებების კლება	191,8	216,1	0,0	216,1	240,9	0,0	240,9
04 01 03	სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და კანონით გათვალისწინებული თანხების ჩამოჭრა	9,3	104,9	0,0	104,9	8,5	0,0	8,5
	ხარჯები	9,3	104,9	0,0	104,9	8,5	0,0	8,5
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	184,2	219,5	0,0	219,5	224,7	0,0	224,7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	32,0	6,0	0,0	6,0	3,0	0,0	3,0
	ხარჯები	183,2	219,5	0,0	219,5	223,9	0,0	223,9
	შრომის ანაზღაურება	152,5	60,5	0,0	60,5	29,3	0,0	29,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,0	0,0	0,0	0,0	0,8	0,0	0,8
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	131,2	173,8	0,0	173,8	174,4	0,0	174,4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	26,0	3,0		3,0	0,0		
	ხარჯები	131,2	173,8	0,0	173,8	174,4	0,0	174,4
	შრომის ანაზღაურება	108,1	30,6	0,0	30,6	0,3	0,0	0,3
02 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	53,0	45,7	0,0	45,7	50,3	0,0	50,3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	6,0	3,0		3,0	3,0		3,0
	ხარჯები	52,0	45,7	0,0	45,7	49,5	0,0	49,5
	შრომის ანაზღაურება	44,4	29,9	0,0	29,9	29,0	0,0	29,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,0	0,0	0,0	0,0	0,8	0,0	0,8
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6 899,4	5 322,3	4 099,0	1 223,3	8 828,1	7 121,3	1 706,8
	ხარჯები	575,7	992,3	225,6	766,7	918,9	0,0	918,9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6 322,0	4 330,0	3 873,4	456,6	7 908,0	7 120,7	787,3
	ვალდებულებების კლება	1,7	0,0	0,0	0,0	1,2	0,6	0,6
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	1 797,4	1 093,9	837,3	256,6	3 102,2	2 650,2	452,0
	ხარჯები	155,9	119,0	0,0	119,0	254,1	0,0	254,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 639,8	974,9	837,3	137,6	2 847,5	2 649,6	197,9
	ვალდებულებების კლება	1,7	0,0	0,0	0,0	0,6	0,6	0,0
03 01 01	გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	1 673,4	974,9	837,3	137,6	2 947,2	2 650,2	297,0
	ხარჯები	33,6	0,0	0,0	0,0	99,1	0,0	99,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 639,8	974,9	837,3	137,6	2 847,5	2 649,6	197,9
	ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,6	0,6	0,0
03 01 02	საკაპრო ტრანსპორტის მომსახურების ხარჯი	124,0	119,0	0,0	119,0	155,0	0,0	155,0
	ხარჯები	122,3	119,0	0,0	119,0	155,0	0,0	155,0
	ვალდებულებების კლება	1,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2 258,8	910,4	562,2	348,2	554,3	66,6	487,7
	ხარჯები	267,8	142,8	0,0	142,8	96,2	0,0	96,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 991,0	767,6	562,2	205,4	457,5	66,6	390,9
	ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,6	0,0	0,6
03 02 01	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	276,6	100,2	11,2	89,0	134,8	0,0	134,8
	ხარჯები	94,2	63,8	0,0	63,8	75,0	0,0	75,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	182,4	36,4	11,2	25,2	59,6	0,0	59,6
	ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,2	0,0	0,2
03 02 02	დასუფთავების ღონისძიებები	147,8	2,5	0,0	2,5	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	147,8	2,5	0,0	2,5	0,0	0,0	0,0
03 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია	0,9	0,6	0,0	0,6	18,4	0,0	18,4
	ხარჯები	0,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,6	0,0	0,6	18,4	0,0	18,4
03 02 05	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	564,9	536,6	475,5	61,1	316,7	49,0	267,7
	ხარჯები	22,6	0,3	0,0	0,3	2,0	0,0	2,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	542,3	536,3	475,5	60,8	314,7	49,0	265,7
03 02 06	გაზგაყვანილობის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0,0	0,0	0,0	0,0	3,5	0,0	3,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	3,1	0,0	3,1
	ვალდებულებების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,4	0,0	0,4
03 02 07	სარწყავი, სანაღვრე არხებისა და ნაპირსამგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია	1 267,2	194,3	75,5	118,8	80,9	17,6	63,3
	ხარჯები	0,9	0,0	0,0	0,0	19,2	0,0	19,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 266,3	194,3	75,5	118,8	61,7	17,6	44,1
03 02 09	ბინათმშენებლობა	1,4	76,2	0,0	76,2	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	1,4	76,2	0,0	76,2	0,0	0,0	0,0
03 03	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	1 385,9	1 412,3	1 391,5	20,8	1 793,4	1 763,8	29,6
	ხარჯები	29,1	79,1	79,1	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 356,8	1 333,2	1 312,4	20,8	1 793,4	1 763,8	29,6
03 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	64,7	485,7	0,0	485,7	1 080,0	413,1	666,9
	ხარჯები	6,6	407,8	0,0	407,8	568,6	0,0	568,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	58,1	77,9	0,0	77,9	511,4	413,1	98,3
03 04 01	სპორტული მოედნების მოწყობა	58,2	22,5	0,0	22,5	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	0,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	58,1	22,5	0,0	22,5	0,0	0,0	0,0
03 04 03	ქალაქის გამწვანების ღონისძიებები	6,5	4,5	0,0	4,5	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	6,5	4,5	0,0	4,5	0,0	0,0	0,0
03 04 04	ბაღების, სკვერების, სავაჭრო პავილიონების მოწყობა და კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია	0,0	55,4	0,0	55,4	513,4	413,1	100,3
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	2,0	0,0	2,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	55,4	0,0	55,4	511,4	413,1	98,3
03 04 05	ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის" ხელშეწყობა	0,0	403,3	0,0	403,3	566,6	0,0	566,6
	ხარჯები	0,0	403,3	0,0	403,3	566,6	0,0	566,6
03 05	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	1 358,1	1 375,4	1 279,3	96,1	1 913,3	1 867,7	45,6
	ხარჯები	81,8	242,6	146,5	96,1	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 276,3	1 132,8	1 132,8	0,0	1 913,3	1 867,7	45,6
03 06	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ექსპერტიზის და ქალქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები	34,5	44,6	28,7	15,9	384,9	359,9	25,0
	ხარჯები	34,5	1,0	0,0	1,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	43,6	28,7	14,9	384,9	359,9	25,0
04 00	განათლება	632,0	932,5	19,2	913,3	1 714,0	487,1	1 226,9

	ხარჯები	616,9	862,9	0,0	862,9	1 158,1	0,0	1 158,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15,1	69,6	19,2	50,4	555,9	487,1	68,8
04 01	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა	559,1	825,8	19,2	806,6	1 602,4	487,1	1 115,3
	ხარჯები	544,0	756,2	0,0	756,2	1 046,5	0,0	1 046,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15,1	69,6	19,2	50,4	555,9	487,1	68,8
04 02	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	0,4	6,9	0,0	6,9	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	0,4	6,9	0,0	6,9	0,0	0,0	0,0
04 03	მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება	72,5	99,8	0,0	99,8	111,6	0,0	111,6
	ხარჯები	72,5	99,8	0,0	99,8	111,6	0,0	111,6
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	550,6	739,3	0,0	739,3	915,1	0,0	915,1
	ხარჯები	550,6	739,2	0,0	739,2	911,3	0,0	911,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,1	0,0	0,1	3,8	0,0	3,8
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	173,1	287,2	0,0	287,2	394,0	0,0	394,0
	ხარჯები	173,1	287,2	0,0	287,2	394,0	0,0	394,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	1,7	36,7	0,0	36,7	40,0	0,0	40,0
	ხარჯები	1,7	36,7	0,0	36,7	40,0	0,0	40,0
05 01 02	სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა	164,4	206,8	0,0	206,8	262,4	0,0	262,4
	ხარჯები	164,4	206,8	0,0	206,8	262,4	0,0	262,4
05 01 03	საფეხბურთო კლუბი "არაგვის" ხელშეწყობა	7,0	43,7	0,0	43,7	91,6	0,0	91,6
	ხარჯები	7,0	43,7	0,0	43,7	91,6	0,0	91,6
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	369,9	436,0	0,0	436,0	496,1	0,0	496,1
	ხარჯები	369,9	435,9	0,0	435,9	492,3	0,0	492,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,1	0,0	0,1	3,8	0,0	3,8
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	13,0	87,5	0,0	87,5	95,0	0,0	95,0
	ხარჯები	13,0	87,5	0,0	87,5	95,0	0,0	95,0
05 02 02	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	30,7	35,6	0,0	35,6	44,3	0,0	44,3
	ხარჯები	30,7	35,6	0,0	35,6	44,3	0,0	44,3
05 02 03	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	64,5	78,6	0,0	78,6	81,4	0,0	81,4
	ხარჯები	64,5	78,6	0,0	78,6	81,4	0,0	81,4
05 02 04	მუზეუმების ხელშეწყობა	16,1	23,9	0,0	23,9	25,9	0,0	25,9
	ხარჯები	16,1	23,9	0,0	23,9	25,9	0,0	25,9
05 02 05	კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	98,0	26,1	0,0	26,1	33,8	0,0	33,8
	ხარჯები	98,0	26,1	0,0	26,1	33,8	0,0	33,8
05 02 06	კულტურის სახლების ხელშეწყობა	108,5	127,9	0,0	127,9	144,2	0,0	144,2
	ხარჯები	108,5	127,8	0,0	127,8	140,4	0,0	140,4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,1	0,0	0,1	3,8	0,0	3,8
05 02 07	ტელემედიცინის და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	1,7	2,6	0,0	2,6	3,3	0,0	3,3
	ხარჯები	1,7	2,6	0,0	2,6	3,3	0,0	3,3

05 02 08	მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა	37,4	53,8	0,0	53,8	58,2	0,0	58,2
	ხარჯები	37,4	53,8	0,0	53,8	58,2	0,0	58,2
05 02 09	საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელშეწყობა	0,0	0,0	0,0	0,0	10,0	0,0	10,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	10,0	0,0	10,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	7,2	12,2	0,0	12,2	15,0	0,0	15,0
	ხარჯები	7,2	12,2	0,0	12,2	15,0	0,0	15,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	0,4	3,9	0,0	3,9	10,0	0,0	10,0
	ხარჯები	0,4	3,9	0,0	3,9	10,0	0,0	10,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	397,4	520,1	0,0	520,1	835,8	56,0	779,8
	ხარჯები	397,4	506,6	0,0	506,6	835,8	56,0	779,8
	შრომის ანაზღაურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	13,5	0,0	13,5	0,0	0,0	0,0
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	32,8	60,3	0,0	60,3	44,5	0,0	44,5
	ხარჯები	32,8	46,8	0,0	46,8	44,5	0,0	44,5
	შრომის ანაზღაურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	13,5	0,0	13,5	0,0	0,0	0,0
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	364,6	459,8	0,0	459,8	791,3	56,0	735,3
	ხარჯები	364,6	459,8	0,0	459,8	791,3	56,0	735,3
06 02 01	სამკურნალო დაწესებულებებში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯები	149,4	151,8	0,0	151,8	238,2	0,0	238,2
	ხარჯები	149,4	151,8	0,0	151,8	238,2	0,0	238,2
06 02 02	მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის და სტუდენტების მგზავრობის ხელშეწყობა	0,0	10,9	0,0	10,9	54,1	0,0	54,1
	ხარჯები	0,0	10,9	0,0	10,9	54,1	0,0	54,1
06 02 03	სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	73,9	97,8	0,0	97,8	117,4	0,0	117,4
	ხარჯები	73,9	97,8	0,0	97,8	117,4	0,0	117,4
06 02 04	საავადმყოფო ფურცელზე მყოფი მუშაკების დახმარება	10,2	25,8	0,0	25,8	15,0	0,0	15,0
	ხარჯები	10,2	25,8	0,0	25,8	15,0	0,0	15,0
06 02 05	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა	12,5	16,9	0,0	16,9	40,0	0,0	40,0
	ხარჯები	12,5	16,9	0,0	16,9	40,0	0,0	40,0
06 02 06	უფასო სასაბინო დაფინანსება	75,6	78,6	0,0	78,6	93,6	0,0	93,6
	ხარჯები	75,6	78,6	0,0	78,6	93,6	0,0	93,6
06 02 07	სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება	40,0	45,4	0,0	45,4	190,0	56,0	134,0
	ხარჯები	40,0	45,4	0,0	45,4	190,0	56,0	134,0
06 02 08	სარიტუალო მომსახურება	3,0	2,2	0,0	2,2	4,0	0,0	4,0
	ხარჯები	3,0	2,2	0,0	2,2	4,0	0,0	4,0

06 02 09	დეენილთა სოციალური დახმარება	0,0	8,6	0,0	8,6	13,7	0,0	13,7
	ხარჯები	0,0	8,6	0,0	8,6	13,7	0,0	13,7
06 02 10	პროექტ "დღის სოციალური ცენტრი-დუმეთში" ხელშეწყობა	0,0	21,8	0,0	21,8	25,3	0,0	25,3
	ხარჯები	0,0	21,8	0,0	21,8	25,3	0,0	25,3

”

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი